კვირა, 25 ოქტომბერი

ფასი 10 კაპ.

Кутаисъ - 180

# მათრახი და სალამური

№ 20

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი



1876

## მიბაძვა ქ̃რისტესი.

—

ტრამვაის მუშებს,
(ზურგ მონაშუშებს)
კარზე მოადგა ბედის ვარსკვლავი:
მათ დირექტორმა
(წმიდათა სწორმა!)
მსხვერპლათ შესწირა თავისი თავი.
რა გინდა გულო,
რა გინდა სულო,
არ მიანიჭა მათ შეღავათი?
მსწრაფლ განემზადა,
რომ შრომის ვადა
მიეცა მათთვის ათი საათი!
რაკი დრო ნახა,
მან განიზრახა
ბილეთის საქმეც ჩამოეკრიჭა,
რომ მუშათ შვილებს,
(ქალებს, ყმაწვილებს)
წამლებით აღარ შეჰკროდათ კრიჭა.
მაგრამ უფროე,
ცხოვრება მდორე
მან ზრდილობის მხრივ განაცხოველა
მოპყრობის წესი????

თბილისი

ქვით უკეთესი!!!!
მას იდეალათ ისახავს ყველა!
იგი სხვებს არ გავს,
(მაცხოვარს ბაძავს,
მოციქულთ ფერხნი რომ განუბანა)
და რა იქნება,
ესე ღირსება
რომ მოვუწონოთ ამასაც განა?
ის გულით წრფელით,
თავისის ხელით



ჩექმებსა წარხდის ფერხთა იმათსა,
არ ერიდება,
(გვმართებს დიდება)
რო დაისვაროს, შეხვდეს ხიფათსა.
ის არ თუ ვარობს,
ამას არც კმარობს,
ფარაჯასაც ხდის დაურცხვენელად
ღმერთს გეფიცებით,
ამგვარ საქების
მნახველი თქვენში გამოჩნდეს ძნელათ.
იქ კი მსახურნი...
(უჰ, უმადურნი!)
მამობრივ ღვაწლსა არ უფასებენ,
მას მავნეთ სთვლიან,
წყევლას უთვლიან
და სხვა წინაპრებს მიამსგავსებენ.
მე მიკვირს აგი:
კაცმა ამაგი
სხვას რისთვის უნდა არ დაუფასო??
სხვამ აგრე ზრდილათ
და გამოცდილათ
ვინ აღიმაღლა ხმა სამოყვასო??

—კი.

# ეშმაკის ინტერვიუ.

„ზუბალაშვილის სახალხო სახლთან დაარსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ ჯგუფს“

**დამფუძნებელ წევრთან.**

— ჩვენ?

— დიახ თქვენ.

— არა, ბ-ნო ეშმაკო, მოგვწყინდა ამდენი მონობა! კაცო ხუმრობა არის ხან ამასთან უნდა ირბინო, ხან იმასთან.

— მე არ დავიჟინებ, რასაკვირველია, მაგრამ მგონია ისეთ სახალხო დაწესებულებასთან, როგორიც მაგალითად „სახალხო უნივერსიტეტია“ ხელი ხელ მოქმედება არ აწყენს საქმეს.

— ჩვენ ,,სახალხო უნივერსიტეტის'' წინააღმდეგი არაფერი გვაქვს, მაგრამ უიმათოდაც საკმაოთ შეგვწევს ძალ-ღონე.

— ვითომ რას წაახდენს საერთო მოქმედება?

— ეჰ, რა დაჟინება იცი! ვერ გაიგე შე დალოცვილო, რომ თავისუფლება გვინდა? ჩვენი საკუთარი სახე გვინდა გვქონდეს, გესმის, ჩვენი, საკუთარი. ჩვენ ბავშვები ხომ აღარა ვართ 17 წელიწადი გვიმოღვაწია.

— მერმე თქვენს პიროვნებას ანუ უკეთ ვსთქვათ, თქვენს სახიერებას ვინ ეხება?

— როგორ თუ ვინ? დღემდე იყო და ,,დრამატიულ საზოგადოებაზე ეკიდა ჩვენი ბედ-იღბალი. დარწმუნებული ვარ სექციის ამარა რომ დავრჩენილიყავით საზოგადოება, როგორც თავისს მეტოქეს გაგვსრესდა.

— გადაჭარბებული შიში მგონია!

— სრულიადაც არა! ახლა არის და ამ სახალხო უნივერსიტეტს'' უნდა აგვკიდონ. ესეც არ იყოს, არ გვინდა ჩვენი მოღვაწეობით უნივერსიტეტმა სახელი მოიხვეჭოს მზა-მზარეული საქმე ხელში ჩაიგდოს.

— კი მაგრამ თქვენ ხომ სახელისათვის არ იღწვით, არამედ ხალხისათვის!

რა თქმა უნდა ხალხისათვის, ანუ უკეთ ვსთქვათ დემოკრატიისათვის.

— მაშ თუ ეგრეა სულ ერთი არ არის თქვენთვის? თქვენ იმოღვაწებთ და ხალხი დაგაფასებთ.

— ჩვენ საკმაოთ გვეყოლება დამფასებლები იმათ გარეშეც; ნუ დაგავიწყდებათ, რომ 17 წლის მოღვაწეობა წინ გვიძღვის. ახლაც წევრთა რიცხვს სულ ოთხიოდ კაცი ღა გვიკლია.

— როგორ? ვერა გამიგია რა! მაშ მთელს დემოკრატიას, ოთხის გარდა თქვენ მოიყვარეთ თავი?

— სულაც არა! ჩვენ წესდების ძალით მხოლოდ

60 დამფუძნებელი ანუ ჭეშმარიტი წევრი გვეყოლება. ამათ წლიური გადასახადი მხოლოდ სამ სამი მანეთი ექნებათ. გესმისთ, სამი მანეთი ანუ სულ რაღაც ოცდა ათი უზალთუნი.

— ჭეშმარიტათ დემოკრატიული საფუძველია.

— ვითომ რაო? დიახაც დემოკრატიულია. აბა შეადარე ,,არტისტიული საზოგადოების'' წევრთა გადასახადს და ნახავ თუ არ არის დემოკრატიული.

— ღმერთი რჯული, მე ძლიერ მომწონს, ჩვენი დემოკრატიული წრის ამბავი რომ ვიცი, მათთვის სამი მანეთი საწევრო ფული რა ბუზებია' სამი მანეთისას დღეში ტკბილეულობას ხარჯავს სწორედ ზე გამოჭრილია.

— იცი რა გითხრა?!!! მე თუ მკითხავ არის დემოკრატია და დემოკრატიაც! ჩემის აზრით თავაშვებული დემოკრატიზმი საქმეს კიდევაც ავნებს.

— მაშ თქვენ თავდაშვებული დემოკრატიზმი გინდათ?

— ეჰ, შენც იშოვე ერთი სალაპარაკო. კაცო, სულ ოთხიოდ კაცი გვაკლია და ნუ თუ ოთხი სამსამ მანეთიანი თავ-დაშვებული დემოკრატი აღარ გამოჩნდება?

— ერთი კი არა მილიონი გამოჩნდება, მილიონი.

— მილიონი თუ გამოჩნდება და მობრძანდენ დამხმარე წევრებათ, ჩვენ მზათ ვიქნებით, მივიღოთ.

— დამხმარე წევრს რამდენს მიიღებთ?

— იმდენს, რამდენსაც აღმოაჩნდება ჯიბეში ხუთი მანეთი.

— ხუთ მანეთს რო იხდის მერე რა უპირატესობა ეძლევა ჭეშმარიტ წევრებთან შედარებით?

— ის უპირატესობა, რომ ჭეშმარიტი წევრის სიკვდილის შემდეგ ის ,,ოჩერედობით'' გადადის შემდეგ კლასში, ანუ დამფუძნებელთა რიცხვში. გარდა ამისა ეძლევათ ის უპირატესობა, რომ არა აქვთ უფლება (§ 14) არჩეულ იქმნენ არც გამგეობაში და არცა სარევიზიო კომისიაში

— აი ეს მომწონს. მეტს ახდევინებთ, მაგრამ ამასთანავე მეტს უფლებასაც ართმევთ. ეგ სამართლიანი მოქმედებაა.

— ჩვენ კიდევა გვყავს მეორე კატეგორიის, ანუ ხარისხის დამხმარე წევრები.

— ეგ რაღა ამბავია! როგორც სჩანს ყველა წევრები თქვენ აგიყვანიათ. ესენი ალბათ თუმანს იხდიან

— პირიქით სრულიად არაფერსაც არ იხდიან!

— მაშ ყოველგვარ თანამდებობაზე მარტო მაგათ ირჩევენ, არა?

— წარმოიდგინეთ რომ არა.

— ეს კი მიკვირს. მაშ რის მაქნისი არიან?

— ამათ უფლება აქვთ საზოგადო კრებებზე ლაპარაკში მონაწილეობა მიიღონ; მორჩა და გათავდა.

— მადლობა ღმერთს ამით თუ გათავდა, და თავდაშვებული დემოკრატია მარტო ლაპარაკით დაკმაყოფილდა. მშვიდობით.

— მშვიდობით.

**ეშმაკი**



## ნიავი და ნაკადული.

ველსა ეწვია ნიავი,
ბალახებ შორის იარა,
მოსწყინდა.. ბაღში შეცურდა,
ვარდს აუშალა იარა
ცრემლი მოაწყდა ობოლი
ყვავილს და დაბლა ჩაცურდა,
მყისვე განშორდა ნიავი,
რადგან სხვა ხარკი არ სურდა:
იკმარა იმან ვარდისგან
ეს ერთი წვეთი ცრემლისა
და ლაღათ გადაირბინა
შემდეგ ფოთლებზე თხემლისა.
გაბერტყა... მწარე მტვრის ბული
მოხვდა და აღარ იამა,
ფეხმოწყვეტ დაბლა დაეშვა,
გული დაუცხრო იამა:
დიდხანს ეძება და ჰპოვა
ის, მიმალული ბუჩქებში,
გულში ჩაეკრა ,,მორცხვ ყვავილს'',
კოცნა დაუწყო ტუჩებში:
,,შენი ვარ, შენ კი—ჩემიო!''
ეფიცებოდა ამითა,
ხანგრძლივათ ესიყვარულა,
და როცა გაძღა ნამითა,
მყის მიატოვა... შორს ყური
მოჰკრა ნაკადის რაკრაკსა—

თავისთვის მიმღეროდა,
კიდეს ურწყავდა ქალაკსა.
— ,,როგორ გკითხო, დაიავ,
მოცელქევ, მორაკრაკეო?!
მთა უფრო მოსაწონსა,
თუ დაფენილი ვაკეო?!‘‘
— ,,ორივე, შენი ჭირიმე:
მთაც, თვისი შავი კლდეებით,
ბარიც—თავისი მინდვრებით,
ბალახებით და ხეებით.
მე მთასაც ვეტრფი, მაღალსა,
ამ დაბრკოლებათ ბუდესა,
ქვა-ლოდებს რომ გზად მახვედრებს,
ხშირათ გაუვალ ზღუდესა;
მომწონს მოწინააღმდეგე!
ის მოიორკეცებს ძალასა:
წინ ვერეკები დიდრონ ქვებს,
ვითარცა მსუბუქ ჩალასა!..
ბარიც ხომ მიყვარს და... მიყვარს ..
უხვათ ვრწყავ ჩემის ტალღებით
და რომ ვუცქერი, ვამაყობ
იმისი ბალჩა-ბაღებით!..
იქ ვანგრევ, აქ კი-ვაშენებ,
მივდივარ, მიმიხარია...
დიახ, ერთია, დაიავ,
ჩემთვის მთა გინდა ბარია‘‘!..
— ,,მშვიდობით! მეც ასე ვფიქრობ‘‘!..
სიტყვა იმა ნიავსა
და გაყვა... ეჩქარებოდა,
მთაბარზე ლაღათ მფრინავსა!..

**ნ. ზომლეთელი**



# მოკითხვის უსტარი ეშმაკს.

П

ეშმაკოჯან წერილსა გწერ
,,უტუ‘‘ შენი მოციქული;
გენაცვალე, რაც მოგწერო
დამანახვე დასტ:მბული.

ჰო და ჩემო ბიძია, ჩავედი ოზურგეთში, არც კი დაიჯერებ:

ოზურგეთი ვასილს შემდეგ რანაირ გამოცვლილა!
ხიდე და ბოგირები ყველა გამთელებულა,
ბაზრის ქუჩა რო იყო ხედავთ ამაღლებულა,
ერთი-ორი მბჟუტავი ფარანიც ანთებულა
გიმნაზიის „პრიგოვორიც‘‘, ბიჭოს! დამტკიცებულა.

ასე ჩემო ბიძია, ოზურგეთს ეტყობა გამოცოცხლება. ვაჭრებიც ძველებურათ ზრდილნი და თავაზიანნი არიან.

ოზურგეთში რომ ჩავედი შაბათი საღამო იყო. ბაზარში საკმეველის საამო სუნი იდგა. ერთ ვაჭარს კონსტანტინეთ წოდებულს დიდი კეცი ნაკვერჩხლით გაევსო, ზედ ერთი ოყა ერუსალიმის საკმეველი დაეყარა, უწმინდურის ხელით წმინდა სანთელი აენთო და მუხლ-მოდრეკილი ლოცულობდა, ,,ღმერთო დიდებულო, შემინდვე და მაპატიე, რაც ამ კვირაში ქვრივ-ობოლი ავატირე, შემდეგ კვირაშიც ხელი გამიმართე მეუფეო და გამანაღდებიე ჩემი ზალოგიონი სამოც პროცენტიანი ვექსილებით.‘‘

გათენდა კვირა დილა, მოედნისკენ ავყევი, იქ სალაყბო მეგულებოდა სალაყბოზე ჩვეულებისამებრ თავი მოეყარათ რეაქციის ინვალიდებს და წარსულის მოგონებაში იყვნენ. ზოგს მომავლის იმედიც უღვიოდა გულში და ძველი დროს მობრუნებაზე ოცნებობდა. ერთს „პრავიტელსტვენი‘‘ ქალაქის თავობა ელანდებოდა და სხვებთან ერთად ამის შესახებ გეგმას აწყობდა. მივიხედ-მოვიხედე, ნიკოკი და ინსპექტორი ტუკასლიძე აკლდათ. გული დამწყდა, მაგრამ ჩემდა საბედნიეროთ ტუკასლიძე მალე მიემატა ჩამქრალ ვარსკვლავთ კრებას. მცირე ხნის შემდეგ ბრძენი პლატონიც შეუერთდა მათ.

ერთმანეთის ამბავ-ხაბარი მოიკითხეს, ტუკასლიძეს ჩხიარულ ბის მიზეზი კითხეს: როგორც იქნა შევისვენე ჰი, ყველა ურჩი უჩიტელი მომშორდა, ეხლა რა „ბლაგო ნალოჟნი“ ბიჭები მყავს რო იცოდეთ?!! ყველა პრიმერნი უჩიტლებია, მართალია მათში ერთი ურევია ცენზიანი, მარა მასაც ადრე უჩვენებ гдѣ раки зимуютъ. ერთი ბატონო მაინც ისეთი გამოცდილია, რომ ენციკლოპედია იცის: აქციზათ ნამყოფია, რკინის გზაში ნაკანტორჩიკალია, აკალოდოჩნიკათ ნამსახურია, მერმეთ კიდევ... (აქ რაღაც ყველას ყურში უთხრა, მეც ყურები ვაცქვიტე, მაგრამ მარტო ოხ... გავიგონე და რა ოხრობის სამსახური იყო ვერ მივხვდი.) მეორე ბატონო ფოსტალიონათ იყო, მესამე სვანეთიდგან მყავს საგანგებოთ ჩამოყვანილი. ერთი სიტყვით ყველა ერთგულია და იქნებ მოვისვენო ამ მოხუცებულობის ხანს.

ოზურგეთიდგან ლიხაურისაკენ გავწიე, ბჟუჯზე რომ გავედი, წინ ერთი ლიხაურელი პედაგოგი შემეფეთა. საწყალი, მეტის-მეტი დაფეთებული იყო, გვინცხში მიძვრებოდა! დავძახე, გავაჩერე და დაფეთების მიზეზი ვკითხე.

— დასაჭირავათ მდევენ, ძმავ, დასაჭირავათ. მერე რეიზა რომ იცოდე, საჩივარი გადაუწერე ოთხმოც კაცს გუბერნატორთან მისართმევი.

— რა იყო, რას ჩივოდნენ მეთქი.

— თათრები გაწყვეტას გვიპირებენ და მთავრობა ხელს უწყობს. გვიშველე, გამოიძიე ვინაა დამნაშავე მეთქი. იმას არ ძიობენ და მე კი მდევენ დასაჭირავათ ვაიჯობინე, გუბერნატორს გამოვეცხადო, თუ დამიჭირავს ქე მაინც ცემას გადავრჩები. გზა დაულოცე ···ლიხაურში აველი.. მესამე დღეს ჩვენი პედაგოგი წელში გამართული თამამათ მოვიდა. წარმოიდგინე დაეწინაურებინათ: ინსპექტორს ქუთაისში გამოსაფენათ აერჩია როგორც სამაგალითო მასწავლებელი.

წარმოიდგინე, ბიძია ეშმაკო, კაცმა ვერ გაიგო, რით დაიმსახურა დაფეთებულმა უჩიტელმა ასეთი მადლობა და პატივი ადმინისტრაციისა. შენ გულთა-მხილავი ხარ და იქნებ მიხვდე... მართლაც კაცმა რომ სთქვას, თხოვნის გადამწერი არ უნდა ითვლებოდეს დიდ დამნაშავედ, არამედ დამწერები და დამწერებშიაც ზოგიერთი მეთაურები. ეს ცხადია!

შენი ,,უტუ''.



შ ა რ ა დ ა.

ერთ-ერთი თვისა სახელი
ქართულათ დამიწერევით. .
(ახირებული თვეა კი,
ამინდი იცის შერევით!)
მგონია მისი მონახვა
არავის გაუჭირდება,
მაშ ბოლო ასოც მოწყვიტეთ,
ჩვენ იგი არა გვჭირდება.
დარჩება ოთხი ანბანი,
კუდმოკვეცილი მცირეთა;
აქ მოიკრიფეთ ძალ-ღონე,
(შუბლს თითი მიიჭირეთ,)
და კუდ მოჭრილი ნაწილი
უკუღმა დამითვალევით,
ამით გზა შარადისაკენ
გასწალდეთ, გაიკვალევით.
ბოლოს რომ დაგვრჩა სათქმელი,
მე არ კი გეტრაბახები!
ვეჭვობ, ვინც შიში დასცადა
არ ჰქონდეს დანაძახები.
ორი სიტყვა ვთქვით და კიდეც
გათავდა ჩვენი შარადა
ვინაც ვერ მიხვდა, სჩანს თავი
არ ვარგა მოსახმარადა.
მთელი, მრეწველთა ქსელია,
თფილისში რკინით ნაგები,
ყრმაცია თუ მოხუცებულთა
გაჟულეტი, გამჩანაგები,
ხან ებრაელნი მართავენ,
სომეხნი, ხანაც ფრანგები.
უცხოეთს მიაქვთ ქანქარა
აქედან ამონაგები...
დღეს გაიძულეს მუშები
ძველი ,,ძმა-ამხანაგები''
დრო შეურჩიეს, ჩაჰკიდეს
კისერში მაგრ ა ჰვანკები,
სიზმრათ არ მოიგონიეს
ძმობა ერთობის ჰანგები.

**კოლო.**

# ბათუმში.

**კვინწარის ინტერვიუ**

(ბათუმის ხმოსნებთან)

ბათუმის ხმოსნები მე მეტად საინტერესო ხალხათ მიმაჩნია. რა თქმა უნდა, ყოველთვის ყურადღების ღირსნი იყვენ ეს პატიოსანნი გვამნი, მარა ამ ბოლო დროს მაინც გაიორკეცეს ჩემი მათდამი ყურადღება ეს ,,დრო'' დადგა მას მერე, რაც აქაურმა გაზეთმა ქალაქის ახლანდელი გამგეობის ,,ოსტავკაში'' გასვლის მოთხოვნა იწყო. ერთმა ხმოსანმა ამის გამო განიზრახა გამგეობისათვის თანაგრძნობის და ნდობის ადრესის მირთმევა. ჩამოუარა ხმოსნებს ამ ადრესით და ზედ თითქმის ყველამ ხელი მოუწერა. და აი უმთავრესათ ამ ამბავმა გამოიწვია ინტერვიუ.

**№ № თან.**

— მე ადრესის შესახებ გეახელით თქვენთან,— მოვახსენე №. №-ს. ვიფიქრე: არ ეგონოს ადგილის სათხოვნელად მოვედი მეთქი. აქაურმა გაზეთმა გა-

გვაგებია, რომ თქვენ თქვენი სახელის გამოაშკარავებას შიშობთ და №. №-ის ფსევდონიმს იცვამთ. ნუ თუ მართალია ეს?..

— ჰმ! განა კითხვაა საჭირო რომ მართალია? თქვენც, გეთაყვა, №. №-ათ გამომაცხადეთ!

— კი, მაგრამ ყველამ ხომ იცის, თუ ვინ არის ბათუმის ხმოსანი № — № ი.

№. №-ს შიშით ენა მუცელში ჩაუვარდა. მის გამოსაფხიზლებლათ საჭირო შეიქნა ცხვირზე მათრახის კუდით შევხებოდი.

— რას ამბობთ, ბატონო კვინწარო, ყველას ეს როგორ ეცოდინება! ყოველ შემთხვევაში პირდაპირ მაინც ვერ მამხელენ, რადგან მე ცივ უარს ვიტყვი.—მე მე არ ვარ მეთქი...

— თუ კი ბათუმის გაზეთს თანაუგრძნობდით და ადრესზე ხელის მოწერა არ გინდოდათ, რათ მოაწერეთ ხელი?...

— როგორ, ხელი რომ არ მომეწერა, მაშინ ხომ გაიგებდა გამგეობა? ხომ შეიტყობდა რომ მე მისი წინააღმდეგი ვარ? ეს მე არ მინდოდა და არც მინდა.

— მაშ თქვენ, ბ-ნო №. №, ახლანდელი გამგეობის წინააღმდეგი ხართ, მარა, ასე ვთქვათ,—არა ხილულად, არამედ ფარულად.

— აი გიცხონდა მამა.. სწორედ ასეა, სწორედ ასეა... ჭეშმარიტება თუ გინდა ესაა:

— და თუ ეს ასეა, საბჭოს სხდომებზე რათ იცავთ ხოლმე გამგეობის ყოველ აზრს?. აკი ყოველ სხდომაზე წამოეყუდებით ხოლმე და ღაღად ყოფთ: „принять заключеніе управы."

ერთმა ხმოსანმა თქვენ ამისათვის მგონი ასეთი ეპიტეტითაც კი შეგამკოთ: большій роялистъ, чѣмъ самъ король'...

— აკი თქვენ თითონვე თქვით, რომ მე გამგეობის ფარული მოწინააღმდეგე ვარ და არა ცხადი?

— მაშინ თქვენ წინააღმდეგობას რა აზრი აქვს?..

— ოო, დიდი აზრი!.. გამგეობა ფიქრობს, რომ მე მისი მომხრე ვარ და ისე კი, გარეთ ჩუმ-ჩუმათ მას ძირს ვუთხრი.

— რით?

— ჩუმ-ჩუმი მოქმედებით, მაგალითად, არჩევნების დროს ვეცდები გავაშავო ახლანდელი გამგეობა; ვეცდები, რა თქმა უნდა, ჩუმ-ჩუმი მოქმედებით..

— მაშ თქვენ „ჩუმ-ჩუმისტი" ყოფილხართ...

— დიახ, დიახ!.. მართალია..

— ჩინებულია, სწორეთ ჩინებული!

— ჩვენ სულ ყველა ასეთია, ბ-ნო კვინწარო, სულ ყველა ასეთი... ყველა კარგები ვართ.. ჩუმ-ჩუმად მომქმედი ხალხი...

— ფრიად სასიამოვნოა ბ-ნო №. №. მე სწორე მოგახსენო არ მიყვარს იერიშის ხალხი: ვერც ვერაფერს ხეირს ნახავ, სხვებსაც მოიმდურებ. ის არა სჯობია ჩუმ-ჩუმათ?..

— გმადლობთ, ბ-ნო კვინწარო!..

— მიუხედავათ ამისა მე თქვენი ვინაობა მაინც უნდა გამოვაქვეყნო.

აქ ბ-ნ №. №-ს გული შეუწუხდა. და ამ ყოფაში დავტოვე ის.

**ს. მდივანთან.**

— Скажите, пожалуйста, Семенъ Гургеновичъ,—დავიწყე მე ისე, როგორც დაუწყია ინტერვიუ ბ ნ სიმონთან ბათუმის გაზეთის თანამშრომელს,—თქვენ მოაწერეთ ხომ ხელი ადრესს?

— მე მიყვარს ქალაქის თავი, მიყვარს იმისი ბოლოც! მე მხოლოდ არ მიყვარს გამგეობის ორი წევრი. არ მიყვარს და ვერ ვენდობი მათ, ვერა.

— კარგი და პატიოსანი მაგრამ ადრესი ხომ სამივეს შეეხებოდა?

— საბჭოს კრებაზე განვმარტე, რომ ჩემი ხელის მოწერა ორ წევრს არ ეხება.

— თქვენ იქ ერთი წევრის შესახებ თქვით ეს...

— თუ გინდ ესეც იყოს. მერე ხომ განვმარტე ბათუმის გაზეთის თანამშრომელთან ..

Лучше поздно, чѣмъ никогда!..

— ამინ!..

**გრ. სოლოღაშვილთან.**

— რა გნებავს, ყმაწვილო?: — შემომეგება გრიგორი,—მე საკვინწარო არაფერი მაქვს.

— ოჰ, ფიცხელო ჭაბუკო! განა არ ვიცი, რომ თქვენთან საჩემო არაფერი იქნება? მე მხოლოდ ის მინდოდა გამეგო შეგიძლია საზოგადოთ ლაპარაკი თუ არა.

— როგორ?

— როგორ და ხშირად გხედავთ მჯდომარეს მარჯვენით მამისა და, სიტყვა კი არა გვსმენია ბაგეთაგან შენთა, ვინმე იფიქრებს: ან ლაპარაკი არ იცის, ან სათქმელი არაფერი აქვსო.

— აბა, ჩემო ძამია, ყოველთვის ხომ ვერ ვილაპარაკებთ?..

— ყოველთვის არა, მარა წელიწადში ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გვიყავ წყალობა, გვასმინე შენი ტკბილი გალობა.

— ეს ტყვილად მგონია!.. ბათუმის საბჭო სახელმწიფო დუმა კი არ არის... ბათუმის საბჭოში აბა რაზე უნდა ვილაპარაკო?..

— აი თუნდ იმაზე, რომ ქალაქის განაპირა

ადგილებს საბჭომ მეტი ყურადღება მიაქციოს, ქუჩები გააკეთოს იქ, განათება მოაწყოს, და მათ მოსამსახურეებს, რომლებსაც პურის ფასსაც კი არ აძლევენ, ჯამაგირი მოუმატონ და სხ. და სხ..

— მე მაინც ქე მივდივარ აქედან.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! მერმე ეს იციან ბათუმლებმა?

— ალბათ არ იციან!

— ნეტარ არიან არაფრის მცოდნენი, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა. მაშ მშვიდობით ჩემო ძვირფასო, მშვიდობით.

— მშვიდობით გნახეთ, მეგობრებო.

**ივ. კახიანთან.**

— ივანე! მე თქვენთან საინტერვიუოთ გიახელით, —მოვახსენე ივანეს.

— მე არავის ინტერესი არა მაქვს...

— ადრესის, „უპრავის" შესახებ, ბ-ნო!..

— ჰოო, ეს სხვაა. ადრესზე მიტომ მოვაწერე ხელი, რომ ერთმა ხმოსანმა მთხოვა და ხათრი ვერ გავუტეხე, თვარა ცოლშვილს გეფიცები —არ მინდოდა ხელის მოწერა...

— ყოჩაღად ყოფილხართ, ივანე! ხათრი პირველი საქმეა...

— ჩვენ ქართველები ვართ, ბ-ნო კვინწარო, თუ ერთმანეთს ხათრი არ გაუწიეთ ისე როგორ იქნება?

— ვთქვათ, ბ-ნო ივანე, ვინმემ საშინელი რაზედმე გთხოვათ ხელის მოწერა. მოაწერთ?..

— ეს ხათრზეა დამოკიდებული...

— მაშ საბჭოს სხდომებზედაც თქვენ ხათრით ხელმძღვანელობით?..

— მე კი არა, ყველა ასე ხელმძღვანელობს.

— ვილაც-ვილაცეები ამბობენ, რომ ასეთმა ხმოსნებმა თავი უნდა გაანებონო...

— აბა?!· მივართმევთ!.. მერე ჩვენზე უკეთეს ვილას იშოვიან?..

— რა თქმა უნდა, ვერ იშოვიან!..—დავეთანხმე ივანეს და გავუდეგ სახლისკენ.

**კვინწარი.**



## ა კ ო რ დ ე ბ ი.

მიყვარს ტალღები
ფიქრთა წამლები
ზღვის უფსკრულისკენ...
მიყვარს ნიავი
ჭმუნვისა ნავი
ცის კიდურისკენ...

*

მიყვარს სხივები
შვებისა ფრთები,
გულის გამთბობი...
მიყვარს მე კრთოლვა,
იმათი ელვა
სევდის დამდნობი...

*

მიყვარს მე სტვენა
ბულბულის ლხენა
პირ ნაზ იასთან...
რუს პირს დუმილი,
ოცნება ტკბილი
იმ გულ ზვიადთან...

*

მიყვარს ქუხილი
ზეცის წუხილი
მიწის შემრყევი...
ცის რისხვა-მეხი
გრგვინვა უკმეხი
მომსპობ დამნგრევი...

*

მიყვარს მე ჩჩვილი,
მაშვრალის შვილი,
მრწამს მისი ბედი:
დიდიას კვალის
შენების ძალის
წინა მორბედი...

**ვ. მალაქიაშვილი.**

## დ ე პ ე შ ე ბ ი.

(რუსეთის სააგენტო)

**თელავი.** გუშინ სალამოს მოვიდა პირველი მატარებელი. ახალმა „თავმა" მიხომ პურ-მარილი მიართვა.

**ოზურგეთი.** მამა იოსებ შევარდნაძეს ბოქაულობას აძლევენ. ამ დღეებში პირველი დებიუტი კონდრაბანდ სანთლებზე გამართა. საუცხოვო სანახავი იყო როგორ ჩხრეკდა მთელ ქალაქს სტრაჟნიკებით გარშემორტყმული.

**ქუთაისი** სამეურნეო გამოფენა გათავდა. დიდი ჯილდო მიიღო ვაჭარმა ფეიქაროვმა—„ალმასრულებელი ფურცელი".

**მიხაილოვო.** შესდგა არტისტეთა ჯგუფი

წარმოდგენების გამართვა დაიწყო სამიკიტნოში. 25 ოქტომბერს წარმოადგენენ ახალ პიესას ,,ტიკ-ქორა''.

**სოხუმი.** ქალაქის ,,მამები'' მეტის შრომისაგან ავათ გახდენ. ქალაქი უპატრონოთ დარჩა.

**პეტერბურგი**. მინისტრთა საბჭომ თავად გ. გვაზავასაგან მიიღო კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ კანონპროექტი.

**პეტერბურგი**. უწმ. სინოდმა ნება დართო დაინიშნოს ბერმონაზონი კოწია თუმანიშვილი ათონის მონასტრის წინამძღვრათ.

**იალტა**. მაჰომედ ალი სიხარულით ფეხზე აღარ დგას სპარსეთის ამბების გამო. ამ დღეებში აბანოდან გამოსვლის დროს ფეხი დაუცდა და ხელი იღრძო.

**საზღვარ გარეთ.**

**ათინა.** მინისტრები ახალი სასჯელის გამოგონებას შეუდგენ აჯანყებულთა დასასჯელათ. განზრახვა აქვთ ამ მხრით ესპანიას აჯობონ.

**თავრიზი**. სათარხანი განსაცდელშია მაჰომედ ალი მის დასახსნელათ კაზაკებს გზავნის.



მესტვირული.

(ნიგოითელ გლეხების მოთქმა).

დავრჩით „არა საიმედო“
ვერ გავედით „შეუმჩნევლათ,“
ლიგის წევრნი დაგვემტერენ
არც გაგვიშვეს დაუსჯელათ.
დღეს ლიგისა თავმჯდომარე
კურთხეული „ჩვენდა“ მღვდელათ
სადაც ჯერ არს მუდამ იქ არს,
რომ დაგვსაჯონ უეჭველათ
წვეულებაც ხშირათა აქვთ
რჩევაც ჩვენდა დასასჯელათ
(ივლიანეც სულ მზათა ყავთ
მათდა გოჭის შესაწველათ )
აღისრულეს რაც მათ სურდათ;
ასე გულით საწადელათ:
მოგვისიეს მეგრელები
ჩვენდა „ჭკუის სასწავლებლათ.“
ზოგსა მისცეს ჯაჭვ-„პეჩატი“
ზოგს კალამი საწერელათ
ზოგსა, ტყვია ,,პატანტრაში''
და თოფებიც მისცეს ხელათ
ჯამაგირი ჩვენგან მიაქვთ
როგორც მათ სურთ განუსჯელათ
შეშაც ჩვენგან, ნავთიც ჩვენგან
და მართახიც ზურგის მწველათ.
დრამა ხელათ აგვატყავეს
ხუცის მუცლის გასაბერათ
არც უშვებენ ,,ედოიმკებს''
ორხელ სამხელ გადუხდელათ
ბევრს გვიჩვენეს ნაობახი
ბევრს მათრახით ზურგის ზელა
ლიგის წევრნიც ამ სურათით
კმაყოფილი დარჩა ყველა).
მაგრამ ცოტა მწუხარება
მოყვა იმათ სიხარულსა;
დღეს ხედავენ იმათ მფარველს
საგიჟეთში გაბაწრულსა.
მოსთქვამენ ვანო და სხვები:
,,ვაი ჩვენს თავს დალუპულსა
ბევრი რამე კიდევ სურდა
გაუმაძღარ ამ ჩვენ გულსა.
მაგალითებრ ჩვენ გვინდოდა:
გაგვებაწრა ვინმე ,,ლელი''
,,ეშმაკისა მათრახში'', რომ
იყო ჩვენი ,,გამლანძღველი''
,,ცივ ქვეყანას'' გაგვეგზავნა
აჯი დაგვრჩა სადარდელი
და ტურაძეც გამოგვეხსნა
ჩვენი „ამბვის'' მომტანელი.
,,პოდ სუდშია'' მიცემული
სოფლის ფულის შემყლაპველი.''
როგორც ხედავთ ივლიანე
ტურაძე ყავთ სადარდელი.
რადგან სოფლისა ხარჯებზე
გოჭებისა იყო მწველი
როგორც სხვაში ამ ქალაქშიც
თავმჯდომარე იყო მღვდელი.

წვრილმანებით არ გაქრება
ჩვენი გულის სადარდელი
თუ ლიგის წევრთ უჯეროდა
ის ივანე ჭკუა თხელი.
ვინ გვაიმედებს არ მოვა
სხვა უარეს დამტანჯველი
და გულზე არ გადაგვაროს
ძირ მწარა და შხამ ნაღველი
ივლიანეც არ აღმოჩნდეს
ჩვენი ტყავით გოჭის მწველი,

გლეხი.




ახალი საშუალება ნაციონალურ თეატრის ასაღორძინებლათ.

# გურული სცენა.

რა ქენი გრიგორ, მიეცი კლასში ბაღანაი?

— ღანღალაი შიეყარა, გოროდის კლასის ინსპექტორს და უნელათ გააცხებია სული.

— რა იყო კაცო, რავა დედაბერსავით იწყევლები!

— ვიწყევლები, აბა რა ვქნა ჩემო ძამია, რა გზაი გვაქ მეტი, მარა არც ასე იქნება საქმე, დარს ავდარი მოყობა, აღმართს დაღმართი შეხთება, ყოლთვინ ასთე არ იქნება, ტამბაჩოვსაც კი ეგონა, აგია გადავაბრუნე ქვეყანა, წყალი აღმა წევიყვანე, ოზურგეთის ღუბერნია გავაჩინეო, მარა ჩიჩი, ჩუუვარდა კობზი ნაცარში, ყველაი მისი კაი ჩინონიკები პოსუდშია მიცემული; მარა იმას ვინ ჩივა კაცო, პოლიცია პოლიციაა, იგი უნდა გაგიკვირდეს კაი რომ იქნება თვარა გლახა ხომ უნდა იყოს, მარა მე აგი მჭეჭკავს გულს, კლასი რომ პოლიციათ აქციეს.

— რას ბუტურობ ბიჭო, თუ გადირიე პერანგი გადიბრუნე, სალავათს რეიზა ჩივი, კლასში პოლიციას რა უნდა?

— რომ გადვირიო გამემტყუნება თუ? აი ნეტაი შენი ქრისტეს მადლით დასტურ გადვირეოდე, გადარეული ბევრათ ბედნიერია, რაც უნდა იმას იტყვის, მე რაც მინდა იგი რომ ვთქვა, ჩვენი ქვეყნის ღრუბელს არ დამანახვებენ. ვთქვა რამე ქე დავიკარგე კაცი, არ ვთქვა და შევასკტი გულს... ღმერთიით იყო თუ კაცით, მტერით თუ მოყვრით, ბაღანას ბახვის კლასი გავათავებიე, იქინეი ქე სწავლობდა კარგათ, პირველ უჩენიკათ ითვლებოდა, დევიდევი ალი მარჩენალი ძროხა გავყიდე, ჩამევიყვანე ოზურგეთში. გოროდის კლასში მინდოდა მიმეცა, ორი კლასი ქე აქ ვიფიქრე გათავებული, აქანაი პირველში მაინც მიიღებენ მეთქი, ჩვენი სოფლიდგან ბარე თუთხმეტი კიდევ იყო, უქნეს ეგზამენი, უკირკიმ ღეს იქით-აქეთ და მერე გამოკვიცხადეს, მორე ადელენიაში დავაყენთო—არაა მომზადილიო... ასე უთხრეს ყველას. ორი კლასი გავათავებიე და მორე ადელენიაში რავა დავტიებდი, ქე წამევიყვანეთ ყველამ ბაღნები აყვირყვილებული. მერე გევიკითხე, გამევიკითხე და ახლა ქეც მიხარია რომ არ მიიღეს, თურმე რავა ლირებულა, ვისაც ყოლია შით, გამუუყვანიან და სხვაგან წუუყვანიან. ბევრმა მითხრა, ცოცხალი ძულათაი გამოვასწარითო, თურმე მოსდგება ინსპექტორი და სცემს და სცემს ბაღნებს რუსის ბარაბანსავით—ყურები დააგლიჯა თურმე ყველას.

— მერე რავა ანებებენ უჩიტლები კაცო?

— შენგან არ მიკვირს, რავაც ერიო, ისეთი ღვდელიო, უჩიტლებიც მისფერი ყავს თურმე, კაი ვინც იყო, ყველაი გადადენა თურმე...

— მთავრობამ არ იცის ნეტაი?

— ვაიმე ძმაო, რაფერი აბდალაი ყოფილხარ, მთავრობის რეიზა შიეშინება, ყოველ დღე ერთად იარებიან... ქეა ასე ახლა კლასი ცარიელი, უწინ თურმე სამასი სწავლობდა, მთხოვნელი კიდევ მეტი იყო, ახლა სამოცის მეტი აღარ არის, თურმე ზოგს ფოთში წუუყვანია და ზოგს ლანჩხუთში—აქანაი დაწუნებული იქინეი მოწონებულათ სწავლობენ თურმე... (ამ დროს მათ მიაყურებს ერთი შავით ჩაცმული ქალი და ისიც ჩაერევა მუსაიფში).

— უკაცრავათ კი არ ვიყო, მარა მგონი გოროდის კლასის ამბავი ქონდენ, ჩემი ნუ გეშინიათ, მე რომ საქმე დამემართა, თათარ და ურიას შევეწყალები—ახალგაზრდა დავქვრივდი, გათხოვა არ მიფიქრებია, ვიფიქრე ბაღნებს გავზდი, წამომესწრება და სიბერის დროს გამახარებს მეთქი... ღვდელთან დავხარჯე, ბლაღოჩინთან დავხარჯე, რავაც იქნა მეტრიჩესკი გამევიტანე სინოდიდგან, სოფლის კლასი გავათავებიე, ბაღანას ყვავილის აჭრის მოწმობა ევიღე, თხოვნა დავაწერიე, ყველა შიგ ჩავაკერე და ინსპექტორს ხელში ჩავაბარე—ეგზამენი უქნა, ქე დამიბრაკა, სუტენტი არააო. ჩემი დოკუმენტები მომეცი მეთქი, ქე დუუკარგავს, მას დიეკარგა მისი სამზერი თვალები... რა წყალში ჩავარდე, სა წევიყვანო, რომ აფერი ვიცი. ქე იყო აი ოზურგეთი დასაწვავი და დეილოცა მისი სამართალი ვინცხამ დ წვა. თავსხლაფი დიესხა მთელ ოზურგეთს თავზე, რავა არ სცხვენიან, რომ დეიყინეს თავზე აგი ბლონწი ბერიკაცი და აცემიებს ბაღნებს, დედავ, შენი ჭირიმე, აქანაი არ გადვიხადო ცემაში თექვსმეტი მანათი, ეგერ ევიყვან ჩოხატაურში და სტრაჟნიკები საჩოხე შალივით მომითელავენ, არც ფული უნდა და აფერი.

ნიორი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიწერ-მოწერა

(ჩიბათის სამკითხველოდან ლანჩხუთის ას)

წერილსა მოგწერ ლანჩხუთში
ჩემო ძვირფასო დაია,
ღმერთმა მიცოცხლოს ჯანმრთელად
მრავალს წელს შენი თავია.
ღვთით აწი კარგათ იქნები
მოწყობილ დალაგებული,
ათას გვარ ჟურნალ-გაზეთით
და წიგნით ამოვსებული.
ჩემს ამბავს თუ კი იკითხავ,
ტყვეთ ვიყავ სამი წელია;
პლატონის თავმდებლობითა
ეხლახან გამოველია.
მაგრამ ვაჰ, ამგვარ გამოსვლას,
სახლი არ მაქვს და კარია,
იგი ბარნაბა ხუცესსა
თავისთვის გაუხმარია.
არც წიგნი არცა ნივთები
აღარა გადამრჩენია,
ახალი გამგე მიშოვეს,
(ღმერთმანი კიდეც მრცხვენია,
რათ მინდა გამგე, როდესაც
სიკვდილის მიდგას დღენია).
ისევ შენ, ჩემო დაია,
შენ გამიმართე ხელია,
მათხოვე ერთი გაზეთი
რომ მოვიმაგრო წელია.

ლანჩხუთის სამკითხველოს პასუხი.

ვაიმე, ძმაია, ყბას მიქცევ?
მაგი რა მოგიწერია?
მე რომ დღეში ვარ, ისეთში
ჩავარდეს შენი მტერია.
ძველათ რაც მჭირდა, ქეიცი
ტყავი გამაშვეს ზრუგზედა,
ეხლა კირილე მგელაძეს
უკან ვკიდივარ კუდზედა.
როცა დაჩიდან დაბრუნდა
ძლივს და გამიღო კარია,
ნეტავი სულ არ გაეღო,
ან კი რა მოსახმარია,
შკაფში წიგნები არა მაქვს,
სტოლზე კი გაზეთებია
კედლები ლამის დამექცეს
წვიმისა ნაწვეთებია.
ან რა ქნას ერთმა კირილემ,
სხვებს არ ვუყვარვარ გულითა
სირცხვილი იმათ, გამკობენ,
სიტყვებით მოქარგულითა
და როს საქმეზე მიდგება
შველა მჭირია ფულითა,
მაშინ კი იმალებიან
წევრები წყევლა-კრულვითა.
ასეა ჩემო დაია,
მეც სული კბილით მიჭირავს
შენ მღვდელი მაინც გყოლია
შეეხვეწე და გიწირავს.
ჩემგან კი ნურას მოელი,
მე რა მაქვს რო გაგირიგო,
იმ ხუცის საქმე კი მიკვირს,
საქმე უქნია ურიგო.

**შხანკოლა.**



## სამკურნალოში.

(ორი სურათი სოფლის ცხოვრებიდან.)

### სურათი პირველი

(მოქმედება სწარმოებს, სოფ. №-ში. თავადის სახლში, სადაც სამკურნალოა მოთავსებული. ეზოდან შედის კარები იმ ოთახში, სადაც ავათმყოფები იცდიან, აქედან მარჯვნივ კარები შედის ექიმის კაბინეტში, მარცხნივ აფთიაქში. ოთახში რამდენიმე ავათმყოფი იკდის.)

**პირვ. ავათმყოფი.** (ხელს დაიდებს ჭრილობაზე). ოხ, ღმერთო ჩემო! რანაირათ მაღონებს ეს ოხერი, ლამის თან გადამიტანოს.

**მეორე** (ახველებს) შენ გაოხრდი. შენა, ან მომკალ ან მომეშვი, რაღას მტანჯავ და არ მასვენებ? ეს ოხერი არც წამალი მშველის? აგერ თითქმის ათჯერ წავიღე აქედან, მაგრამ ვერაფერი შევატყე.

**პირველი.** (დაცინვით). რა უნდა გარგოს, ჩემო ძმაო, ცარიელმა წყალმა! ეს არის მაინც იმედს არა ვკარგავთ, თორემ გინდ აქაური წამალი დაგილევია გინდ მტკვრის წყალი.

**მეორე.** ჯანი გავარდეს, კაცო, წამალი ხომ

ჰქვია და დოხტურების გაკეთებული ხომაა, მარა მაგარი ის არის, რომ იმასაც რიგიანათ არ იძლევიან! მანამ წამალს მოგცემენ ყვირილით და ლანძღვით თავს გაგიხვრეტენ.

**მოხუცი გლეხი.** (ჩაერევა ლაპარაკში). მადლიანო, ხმა ვერ ამოგვიღია, მაშინვე კარებისკენ მიგვითითებენ, სიცილის ნებასაც—კი არ იძლევიან. ერთი ბეწო, რომ გაიღიმო, მაშინვე გეტყვიან: „ავათ, რომ იყო არ გაიცინებდიო."

**პირველი.** კაცო! არც გასინჯამენ ავათმყოფს და არც არაფერი. პირდაპირ დასწერენ გვარს და სახელს და გარეთ გამოგიძახებენ. „აფთიაქში მეიცაო." რაღაც რებეცს ეძახიან. იქ-კი ხელათ ხინას მოგცემენ ან ზეთს დაგალევინებენ და მორჩა, ეგ არის და ეგ. იქნება რა მტკივა ი ოხერი, არ უნდა გამსინჯონ? მარა....

**მეორე.** (გააწყვეტინებს). კაცო. ერთი კიდენ "ოჩერედიო" იციან. ი ოხერი და რატო „ინტრიგენტებს" არა აქვთ ოჩერედი? აი პრიტავი, მღვდელი და ვაჭრები, რომ მოდიან. რა დროსაც-კი მოვლენ ხოლმე, დაუკითხავათ შედიან. ჩვენ-კი დილიდან მოსულები სალამომდე აქ ვიცდით ხოლმე.

**მოხუცი.** (პირიდან ჩიბუხს გამოიღებს და ულვაშებზე ხელს გადისვამს.) ისინი შვილო თავიანთ ტოლი ხალხია და იმითვინა სცემენ პატივს, აბა შენ რაში გცენ პატივი? ან რაში ენაღვლებათ, რომ შორიდანა ხარ მოსული?

**პირველი.** ჯანი, გავარდეთ, პაპა რაც უნდა ქნან გარეთ. აქ-კი გარჩევა არ უნდა იყოს, ავათმყოფებს ყველას ერთნაირათ აწუხებს ავათმყოფობა. მარა სად არის მაგათში სიმართლე?!

**მოხუცი.** ეჰ, შვილო, სად გაუხარია გლეხ კაცს, რომ აქ გაიხაროს, ყველგან ეგრეა სუდშიაც, კანცელარიაშიც. კაცო! ღვდელიც-კი უკანონოთ იქცევა ერთი მინუტით, რომ შემოვიდეს ვინმე პრიტავი, ან ისეთი მდიდარი კაცი, ჩაით იყოს მაძღარი, მაშინვე მთელს საბისკვერს უბოძებს და პირველათ ჯვარს იმას აკოცნინებს, ჩვენ კი... დაილოცოს ღმერთო შენი სამართალი, რა გასაჩენები ვიყავით ჩვენ გლეხი ხალხი? (ნაღვლით ამოიოხრებს). საკვირველია, ღმერთმანი რატო ეს გლეხი ხალხი არავის ვებრალებით? ნუთუ! ჩვენც ისეთივე ადამიანები არა ვართ როგორც თავადი-აზნაური?

**პირველი.** რა ვიცი ძმაო; ი ,,ერთობა", რომ იყო მაშინ-კი თუ ყველანი ძმასა და ამხანაგს გვეძახდენ ახლა რაღა ღმერთი გაგვიწყრა?

**მოხუცი.** რა შვილო და მაშინ ჩვენი იყო ძალა, ეშინოდათ, განა მართლა ჩვენი ჯავრი ჰქონდათ? აი თვითონ აქაური დოხტური რაებს გვარიგებდა ხოლმე, თვითონ მაგან ამომარჩია ასის თავათ. ეხლა-კი ლამის არის ყველანი თვალით შეგვჭამოს, ვინც მაშინ ,,ერთობაში" იყავით....

**მეორე.** დოხტური რათ გინდა კაცო' აი თითონ ფერშალი. პირველი ხულიგანია ახლა, წინათი სულ ჩვენთან იყო. დღეს სულ ლანძღვით იხსენიებს ერთობის ძამგონს. ეხლა რომ ერთი სიტყვა უთხრა მაშინვე დაგიყვირებს ,,გაჩუნდი თორე მე ვიციო, თქვენ ბუნტი არ გეგონოთო".

**პირველი.** მართალს ამბობ მეღა ჩემა ღმერთმა! მე თვითონ ჩემი ყურით გამიგონია დუქანში როგორ ილანძღება ხოლმე (შემოყავთ მძიმე ავათმყოფი, ერთი მხრიდან მოხუც ქალს უჭირავს, მეორე მხრით კაცს. მიყვანენ სკამთან და დააწვენენ'.

**ახალმოსული.** გამარჯობა ხალხო! დოხტურები აქ არიან?

**მოხუცი.** ჯერ სად არიან ჯერ ჩვენც არ ჩაუწერივართ წიგნში.

**ავათმყოფის დედა.** მაშ რა უყოთ ძალიან შეწუხებული მყავს, ლამის არი ხელიდან გამომეცალოს. ნეტაი მალე მაინც მოვიდენ.

**მოხუცი.** რითია ავათ დაო?

**ავათმყოფის დედა** (ჯავრიანათ). რა მოგახსენოთ, თქვენი ჭირიმე ეს ორი თვეა, შეგვეწიოთ იმის მადლი, (პირჯვარს იწერს). ოქროს კარიანის წმინდა გიორგს მოგახსენებენ იქ გახლდით სალოცავათ მიზეზი გამოუვიდა. იქ კარგათ იყო და ჩამოველით თუ არა მეორე დღიდან ხველება დააწყებინა, სიცხე მისცა, ორჯელაც მყვანდა ფერშალი, დოხტურიც, მარა წამლებმა არ არგეს. ველარ შევიძელით, კიდე სხვა ექიმისთვის გვეჩვენებინა და აქ წამოვიყვანეთ.

**მოხუცი.** (დაბეჯითებით . გაციებულა შვილო, გაციებულა, მაგას ოფლის მეტი არაფერი არგებს.

**დედა** ყოველისფერი ვცადეთ პაპა, ოფლის ჩაიც ვასვით, მარა უფრო დასუსტდა და ხველამაც მოუმატა. გუშინ მკითხავთან ვიყავი, ვაკითხინე და წმინდა გორიჯვარის მიზეზი გამოვიდა (იწერს პირჯვარს) და დაილოცოს იმის სახელი და დიდება! ნეტა ცოტა მოლონიერდეს, თორე ვინ თავ მკვდარი, ურიის ვალი არ აიღოს და არ წავიდეს მის კართან სალოცავათ.

**მოხუცი.** ღმერთო და დიდებულო გორიჯვარო, შენ იყავი ჩემი შვილების მფარველი! ხო შვილო, ღმერთს ბევრი რამ შეუძლიან, თუ მოისურვებს მკვდარსაც წამოაყენებს, ფეხზე.

**პირველი.** (დაცინვით) ეჰ, მახლას, რაღა ჩვენთვის იცლიან დალოცვილი ხატებიც! რაღა იმათი მიზეზები გვინდა არ გვეყოფა სხვა ვინცა

გებრიყობს? რატომ მაინც ერთხელ არ გამოუჩენს მიზეზს დოხტორი, ჩვენი უსამართლო მოქცევისთვის.

**მეორე**. სხვა არა იყოს რა ამდენმა ხატებში სიარულმა ტყავი გაგვაძრო და შველა-კი არა სჩანს. აბა ერთი მითხარით, თქვენი ჭირიმე, მღვდელს რომ ტყავი და ბეჭი მივცე ჩემს ავათმყოფს ამით რა მიეკრობა?

**მამა**. (დაემოწმება). ჰო მედა ჩემა ღმერთმა, მართალს ამბობ, მართალს. კაცო!? გამაჩანაგეს ამ დედაკაცებმა ხატებში სიარულით, ლამის არის ფარაჯაც გავყიდო, და ღვდელს მივსცე საწირავში.

**დედა** (გაჯავრებული). შენ ეგ წარამარა როტვა ნუ იცი (იქ მყოფთ) დასწყევლა ღმერთმა ისე დღე არ გავა, რომ ღმერთის საწყენი არა თქვას რა (ქმარს) შე უკეთურო იმიტომ არა გშველის ღმერთი, რომ ეგრეთი ურჯულო ხარ. (ამ დროს ავათმყოფი დაიხველებს, გააჟრჟოლებს და გული შეუწუხდება.ატყდება აურზაური, ისმის ხმები: „წყალი მოიტათ წყალი ხმაურობაზე გამოვა სამკურნალოს მოსამსახურე).

**მოსამსახურე**. (გაჯავრებული) რა გაღრიალებთ, სამიკიტნო ხომ არ არის?

**დედა** (ტირილით). მიშველეთ გენაცვალეთ, დოხტურს დაუძახეთ (დაინახავს მოსამსახურეს) გენაცვალე ფერშალო, მიშველე ავათმყოფი მიკვდება (ფერშალის დაძახებაზე მოსამსახურეს სახე გაუბრწყინდება. დინჯის ნაბიჯით, ხელების ფათურით მივა ავათმყოფთან. და მაჯას უშინჯავს).

**მოსამსახური**. (რიხიანათ) ნუ გეშინიათ კარგათ იქნება, ეხლავ დოხტური მოვა წამლებს გაგიკეთებსა და კარგათ იქნება.

**დედა** (ხვეწნით) შენი ჭირიმე, მიშველეთ, დოხტურს დაუძახეთ!

**მოსამსახურე** მალე მოვა მალე. (წასვლა უნდა, მარა ერთი ავათმყოფი აჩერებს)

**ავათმყოფი**. შენი ხვთის გულისთვის დოხტურებს უთხარი კარგი წამალი მომცენ.

**მოსამსახურე**. კარგს მოგცემთ (გადის ცოტა ხნის უკან შემოდის ფერშალი წიგნით ხელში, დაჯდება იქვე სტოლზე და ავათმყოფებს სწერს, მორჩება მერე წამოდგება და მძიმე ავათმყოფთან მიდის უშინჯავს მაჯას)

**ფერშალი** (მრისხანეთ). რატომ არ დამიძახეთ გული თუ წაუვიდა?

**დედა** (მოკრძალებით) რა მოგახსენოთ, თქვენი ამხანაგი გახლდათ, იმან გასინჯა

**ფერშალი** (გაკვირვებული) რომელი ამხანაგი? მე აქ ამხანაგი არავინა მყავს.

**დედა** (მორცხვათ) რა მოგახსენოთ თქვენებ თეთრი-კი ეცვა და.

**ფერშალი** (გაჯავრებული). ჩვ[illegible]ის მოსამსახურეა და არა ფერშალი. (მოხუცი ჩაერევა ლაპარაკში).

**მოხუცი**. (ღიმილით) ჩვენ რა გაგვეგება შენი ჭირიმე, ისიც სწამლობს ხოლმე და იძახის ფერშალი ვარო.

**ფერშალი** (გაჩუმებს) დოხტურობასაც მალე მივიღებო ჰა?

**მოხუცი**. ეგრე მოგახსენებენ. რა ვიცი ქართული ანდაზისა არ იყოს. მოგეხსენებათ თქვენც (უძაღლო სოფელში კატას აყეფებდენო) ვისაც უნდა გვატყუებს და გვჩაგრავს. ეჰ დაიქცეს უსწავლელი კაცის გაჩენის საათი. რა ვქნათ, ჩვენი სიბნელით განა ყველანი არ სარგებლობენ? ეს ერთი რომ იყო ვინ... (შემოდის ექიმი. ყველანი მოწიწებით სალამს აძლევენ. ფერშალი ღიმილით მიეგებება, ხელს ჩამოართმევს და ორივენი ერთად კაბინეტში შევლენ).

**გ—ხა, ვ—ნო**

(დასასრული იქნება)

---

## მგოსნის სიმღერა.

**(ვუძღვნი მსმენელებს)**

მე თქვენ გიმღერ საამო ხმით,
ვით ფრთოსანი ბუნებასა,
და შიგ ვაქსოვ ჩემს გულისთქმას,
ჩემს სურვილებს, ჩემს ნებასა.
მე ვიმღერებ... თქვენ ისმინეთ,
სანამდის ხმამ არ მიმტყუნოს,
თუმცა ისიც შეიძლება,
რომ ის ზოგმა დამიწუნოს.
რა უყო, რომ ემწარება!
გულს მოხვდება ვით ისარი
მჩაგვრელს მღერა ჩაგრულისა
გულს უკოდდეს - წესიც არი!
შეიძლება, ზოგჯერ ეს ხმა
ჩაგრულსაც არ მოეწონოს:
წყლული გულის დასაამი,
მას მკვეთრ ისრად გაწონოს!
ეგ ხომ წამლის თვისებაა:
როს სატკივარს ის შეებრძვის,
მაშინ ცხადეთ ზედმოქმედობს
და ავათმყოფს წყლული ეწვის,
მაგრამ ჰმართებ ადამიანს,—
ამ წვა-ტანჯვას გაუძალდეს,
თუ უნდა, რომ გულს ეფონოს
და ტკივილიც დაუამდეს.

ჩემი მღერაც წამალია,
ჩაგრულთ ტანჯვის მოსაკლავი
და მჩაგვრელთა სიამეში
ჩარეული საწამლავი!.
მე ვიმღერებ. . თქვენ ისმინეთ,
სანამდის ხმა მართლად ჰქგრდეს!..
მხნედ იყავით! გული თქვენი
უიმედოთ არ აძგერდეს!..

**ნ. ზომლეთელ.**

---

## უცხო სიტყვათა ახსნა.

(ხონის ორიონისათვის)

**დედალაურელი მღვდელი**—გულკეთილი ადამიანი, რომელიც დრამის ორ მანეთს და ჯვრის წერის 25 მანეთის მეტს არ ითხოვს

**წ. კ. გ. საზოგადოება**—დაწესებულება, რომელიც ხონში არსებობს, მაგრამ სანთლითაც რომ ეძიოთ, ვერ იპოვით.

**ნოქართა პროფესიონალური კავშირი**—საიკიტნო, სადაც ყოველივე საქმე უკუღმა ირჩევა.

**წარმოდგენა**—საღამო, სადაც თავისუფლათ შეიძლება არშიყობა და ნებადართულია ყვირილი.

**ვაჭრები ადლი** (არშინი)—საზომი, რომელიც ჩვეულებრივზე ბევრათ მეტია.

**ქალაქის ბაღი**—მოედანი, სადაც ორი ჯოგი ღორი და ათასი ბატი სეირნობს.

**კაბინეტი**—ადგილი, სადაც შებუდებულია ხონის ინტელიგენცია და ისე სძინავს, რომ ნანინაც არ სჭირდება.

**საკურთხი**—ქრთამი, რომლითაც შეგიძლია სასუფეველში შეხვიდე.

**სიკვდილი**—მღვდლების ქორწილი, როდესაც შეუძლიათ საგანგებოთ გამოკერილ ქისების დავსება.

**ივანდიდელი მღვდელი**—კაცი, რომელსაც გვირგვინზე ოითრი ლენტიც კრამოლათ ეჩვენება.

**პროლეტარი ეშმაკი.**

---

## ერთი განცხადება

I

(რუსულიდან)

ის რასაც მე თქვენ ამ ჟამათ მოგითხრობთ,—შეგიძლიათ მიიღოთ ფანტაზიათ, ანუ სინამდვილეთ: ჩემთვის სულ ერთია,

მე მხოლოთ ის ვიცი დანამდვილებით, რომ ეს სრულიად ჩვეულებრივი ისტორიაა, რომელიც აუცილებელი ნაყოფია ჩვენი ცხოვრების წყობილებისა.

აბა ყური დამიგდეთ.

რამოდენიმე კვირის წინ მოვიდა ის ქალი პეტერბურგში.

რისთვის მოვიდა? მე არ ვიცი.

ვფიქრობ—ის ცხოვრების ტალღებმა გადმოსტყორცნეს ამ ცოცხალთა სასაფლაოსაკენ...

მან დაიქირა საშვალო ღირსების ოთახი, საშვალო ღირსების სასტუმროში. და ოდნავ ინათლა თუ არა,—ფეხზე წამოხტა.

ქაღალდის პატარა ნაგლეჯზე შემდეგი დაწერა:

„უცხო ენების მუსიკის და სიმღერის მცოდნე ქალი ეძებს გაკვეთილებს. მიმართეთ...“

შემდეგ ეწერა მისი ადრესი.

მან მიიტანა ეს განცხადება გაზეთის ერთ კანტორაში და სთხოვა დღე გამოშვებით სამჯერ დაებეჭდათ.

კანტორიდან ის წავიდა...—სად?

დოსტოევსკი ამბობს:

— საჭიროა, ყველამ იცოდეს ალაგი, სადაც ის უნდა წავიდეს.

ამ ქალს ქონდა მხოლოთ ერთი პატარა ოთახი სასტუმროში, მეტი არაფერი..

არც მშობლები, არც მახლობელნი, არც ნაცნობნი, არავინ: მთელი ქალაქი მისთვის უცხო იყო.

რათ მოხვდა ეს ქალი ამ ბუმბერაზ ცივ ქალაქში?

მინდოდა მიმეცა ქალაქისათვის ასეთი კითხვა...

მაგრამ გამახსენდა, რომ ტყული შრომა იქნება ვკითხოთ ქარს, რათა ჰქრის...

რომ წყლის ნაყვა იქნება ვკითხოთ ზღვის ტალღებს, რათ ეხეთქება კლდეთა ნაპრალებს...

მე ყოველივე გამახსენდა...

გამახსენდა, რომ ცხოვრება თავის ღრმა საშოდან ადრე თუ გვიან ძველსა და სრულიად ახალს, ზოგთათვის საეჭვოსა და უეჭველს, განვლილსა და გასავლელს, გარკვეულს და გამოსარკვევ საკითხებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ასპარეზზე დასვამს საბოლოო გადასაჭრელათ...

მე ყოველივე ეს გამახსენდა...

II

მეორე დღეს დიდი გაზეთის ფურცლის მე-4 გვერდზე დაბეჭდილი იყო განცხადება:

„უცხო ენების, მუსიკისა და სიმღერისა მცოდნე ქალი ეძებს გაკვეთილებს. მიმართეთ...“

ქალი კითხულობს განცხადებას... და ელოდა...

ის დარწმუნებული, იყო, რომ ამ მქუხარე, რიცხვ-მრავალ ადამიანთა სამყოფელში მოიძებნებოდა მსურველი უცხო ენების შესწავლისა...

ანუ მუსიკისა...

ანუ სიმღერისა...

მაგრამ პირველ დღეს არავინ მოსულა.

მას იმედი მაინც არ ეკარგებოდა...

— არა, პირველი განცხადება არაფერს ნიშნავს!.. პირველი განცხადება—ეს არის ერთი მერცხლის ჭიკჭიკი რომელიც გაზაფხულს ვერ მოიყვანს..

ტყვილა კი არ შეუკვეთა სამი განცხადება.

არც მეორე განცხადების შემდეგ მოსულა ვინმე.

ამ გარემოებამ კი შეაფიქრა...

ასეთი დიდი, ასეთი ჭრელი ქალაქი!..

საბრალო ქალი გვიან მიხვდა, რომ აქ ადამიანები ყველანი დინჯნი და საქმიანი არიან..

ვის აქვს მოცალეობა თამაშისა და სიმღერისათვის!..

საჭიროა მეტი რამ შინაარსიანი და მან გაზეთის კანტორაში გააგზანა შემდეგი შესწორებული განცხადება:

უცხო ენებისა, ბუხგალტერიის და სავაჭრო კორრესპონდენციის, მცოდნე ქალი ეძებს სამსახურს..."

არავინ გამოჩნდა... სრულიად არავინ!

სავაჭრო კორესპონდენციამაც იმდენივე გავლენა იქონია, რამდენიც მუსიკისა და სიმღერის ცოდნამ.

და, მაშინ!..

მაშინ — იფიქრა საბრალო ქალმა:

სულერთია! ცხოვრება მაინც საჭიროა! გამოვცხადდები გამდელათ... გამდელი უთუოთ ვინმეს ეჭირვება.. რომელი დედაა, რომ ეხლა თავისს შვილს ზდის?

გმადლობ! დიახ! სწორეთ ეს მიხსნის!..

ქალი კვლავ წავიდა გაზეთის კანტორაში და გადასცა დასაბეჭდათ ახალი განცხადება.

განცხადება მსხვილის ასოებითააწყობია და ამის ერთმა გადახედვამ სრული იმედი აღუძრა გულში...

,,ბონნა, მცოდნე უცხო ენებისა, ეძებს ალაგს. მიმართეთ'' .. მას უნდოდა ჩაემატებია: ,,მემუსიკე და მომღერალი'', მაგრამ უცბათ გადაფიქრა, რადგან ეს ერთობ ბევრი ნიჭი და ტალანტი იქნებოდა გამდელისთვის.. შეიძლება არც კი მიიღონ ოჯახში ასეთი მრავალი მხრით განვითარებულ-გამოცდილი ქალი.

მაგრამ უმისიკოთ და უმღერლათაც არავინ მიიღო.

არავინ არ დაუკაკუნა უმწეოს პატარა ოთახის კარებს. სასტუმროს მსახურმა მოუტანა კვირის ან გარიშები.

მანაც გაისტუმრა ნახარჯი... და სწორეთ იმდენილა დარჩა, რამდენიც ეყოფოდა ჩაემატებია განცხადებაში „და მცოდნე ჭრა-კერვისა"...

მართლა, მან ხომ კარგათ იცოდა ჭრა-კერვა! „გამდელი, მცოდნე უცხო ენებისა და ჭრა-კერვისა...'' განა ეს ტყუილა ნაპოვნი არ არის?

მაგრამ, ჰოი საკვირველებავ!

არავინ არ ეძიებდა ,,ტყუილა ნაპოვნს!''

თითქოს მთელს ქალაქში ყველა დედები გადაქმნილიყვენ ,,ნამდვილ'' დედებათ. . და გაფიცულიყვენ, რომ ამიერიდან მათი შვილები არ გაეზდევიონ ,,ბონნებს''...

,,ჭრა-კერვის'' მცოდნესაც-კი!

III

დღენი გადიოდენ...

სასტუმროს პატარა ოთახში სასოწარკვეთილება გამეფდა

ქალი ტიროდა და ფიქრობდა. ხშირათ პატარა სარკმელიდან მოშტრის თვალით ჩასცქეროდა მის ქვემოთ ქვაფენილს.

ერთი წამი... და ყველაფერი გათავდება...

მაგრამ... ქვაფენილი საშინელი მაგარი იყო...

მანძილი ძალზე მაღალი... და...

თითონ საბრალო სუსტი და...

არა გმირი...

ამ მწუხარებაში, ამ ტირილში, ამ ბრძოლაში, თანდათან გაუტკბა, თანდათან მოსწყურდა სიცოცხლე. სიცოცხლე. . ერთხელ უცბათ სტაცა კალამს ხელი და შემდეგი დასწერა·

,,გთხოვთ ჩემს სიკვდილში ბრალი არავის დასდოთ??

ამან უფრო გაუცხოველა სიცოცხლის სურვილი

ოხ, რა ტკბილია... რა ბედნიერებაა სიცოცხლე... სიცოცხლე... არა!..

სიცოცხლემ, — როგორაც უნდა ყოფილიყო, სძლია სიკვდილს და დასწერა შემდეგი განცხადება:

,,ახალგაზდა ქალი და ლამაზი, ეძებს მარტოხელ ოჯახში დიასახლისის ალაგს. მიმართეთ...''

ეს განცხადება მსახურის ხელით გააგზანა გაზეთის კანტორაში და რაკი განცხადების დასაბეჭდი ფული მას არ ქონდა, მოიხსნა კისერსე ოქროს პატარა ჯვარი, გადასცა მსახურს და სთხოვა გაეყიდა ეს და ფული კანტორისათვის გადაეცა.

როდესაც მსახური გავიდა, ის დიდხანს გაშტერებული იდგა და იატაკზე ერთ წერტილს ჩასჩერებოდა შეშლილივით ..

უცბათ ტახტზე პირქვე დაემხო და თავდავიწყებას მიეცა...

წამები საათებათ იქცენ... ის არინძრეოდა.. შუა ღამე გადასულიყო... ის ისევ უძრავათ იყო. .

მზემ შემოაშუქა ოთახის ფანჯარაში...

ის გამოაფხიზლა მის კარებს წინ საშინელმა ხმაურობამ. ვერაფერი ვერ გაეგო .. არაფერი ესმოდა...

მან გააღო კარები ძალზე შეშინებულმა.

რას ხედავს!

მის კარებთან ოცამდე ახალგაზრდას მოუყრია თავი და ერთმანეთს ცხვირ-პირ ამტვრევენ.

მსახური დინჯის გამომეტყველებით აშველებდა მათ.

— მოითმინეთ! გთხოვთ დაწყნარდეთ! ასე არ შეიძლება' ,,ოჩერედობით'' მოელაპარაკეთ, ,,ოჩერედობით!'' ყველა ერთათ არ შეიძლება!.. ქალბატონს ჯერ არც კი გაუღვიძია....

**ლეონიდე.**

---

(სიტუაცია)

მინდა ვიმღერო, სულ ვინავარდო,
ლხინში ვატარო ჩემი ცხოვრება,
რადგან ტანჯვა და სიმწარის გარდა,
ჯერ არ მიგვრძნია სიამოვნება.
მინდა ჰარი, გაშლილი მდელო,
ყვავილთა კონა მზისა სხივები,
და დროს ტარება, თავისუფლება, —
დიდხანს მტანჯავდენ მე ბორკილები.
მინდა ფრთა მესხას ცელქი ფრინველის,
დიდხან მამყოფეს დამონებული,
მინდა მიყვარდეს.. რადგან არვისგან
ჯერ არ ვყოფილვარ შეყვარებული.

**ბ. გელა.**

# წერილები ეშმაკისადმი.

**სამტრედია.** ხმები დადიოდა კულაში ,,დურ-მიშხანული'' ჯგუფი შესდგაო. მაგრამ ეს ამბავი არავის სჯეროდა ეხლა კი ყველანი დარწმუნდენ ამ ხმების სიმართლეში.

— ამას წინათ აქ კინაღამ ერთი უბედურება დატრიალდა ერთმა ,,სიმამრმა'' ერთ თავის სიძეს მოუნდომა ახალი ბზის ჯოხით სიგძე სიგანის გასწორება, მაგრამ სიძეს მამა წაეშველა და გადაარჩინა.

— აქაურ რკინის გზის ადმინისტრაციამ ,,კოლიას'' მიანდო მატარებლებში ,,ბრუციანების ჭერა.

აჯი.

—

**ს. იანეთი.** აქაური ფერშალი მეტის მეტ სულის საქმეს შეუდგა. დღე არ გავა ისე, რომ გარდაცვალებულ ბაბუას სულის საცხონებლა არ აწირვინოს ადგილობრივ მღვდელს. თუ ასე განაგრძო ხალხში განამტკიცებს სარწმუნოებას და მღვდლის საქმეც წაღმა წავა.

ჭ-იჭინა.

—

**დ. ხაშური** ამ დღეებში აქაურ სამიკიტნოში წარმოადგინეს სამმოქმედებიანი ტრაღედია ,,ბახუსბაქარა '. მიუხედავათ ყოველ გვარ დაბრკოლებისა არტისტებმა ჩინებულათ შეასრულეს თავიანთი როლები. საუცხოვოთ იყვენ: ალ. ჯავახაძე, ბ. მექა, არშ.-ალ-ტი და სხვანი. შემდეგი წარმოდგენა გაიმართება მომავალ კვირას.

ახლათ გაეშმაკებუ· ი.

**იქიდანვე.** რაღაც უკურნებელი სენით ავათ გაგვიხდენ „ნარიადჩიკის“ თანაშემწეები ბბ. ჯაფარიძე და დავრიშევი. ავათმყოფობამ ენა დაუგძელა ექიმები ვერას შველიან. ხალხი დიდათ შეწუხებულია. უმეტესათ კონდუქტორები.

ახ.—ლი.

—

**ს. ალავერდი.** აქაურ სპილენძის ქარხნის მხვილ მოსამსახურეებში 12 ქართველი ურევია. თორმეტივე ხალასი ინტელიგენტია. მათი ინტელიგენტობა განისაზღვრება ,,ბაქარა ვერტ-უშკათი“ და ღვინის ყლაპვით. ნამდვილ ქართველობას ღვინის ყლაპვაში და „ისევ და ისევ ღვინითა“-ს სიმღერაში იჩენენ. ბედნიერია ის ერი, ვისაც ასეთი მამულიშვილი ყავს.

აცაურას პირელი.

—

**თელავი.** 14 ოქტომბერს ,,ნათავარ'' ვანოს თელაველებმა დიდი ოვაცია გაუმართეს. მისი ,,ნათავარი'' თავი დაფნის გვირგვინით შეამკეს წარსულ მოღვაწეობისთვის. ამ დღეს მოხდა ,,ახალი'' თავის არჩევა. თუმცა ვანოს იმედი ქონდა გასვლის, მაგრამ მიხაკოს დაუთმო ,,თაობა''. მომავალში მიხაკო ვანოს დაუთმობს, შემდეგ კი ვანო ისევ მიხაკოს და ამ რიგათ ხან ვანო ,,ითავებს'' და ხან მიხაკო, მანამდე თელაველებს სულ არ გაძვრებათ ტყავი.

კ. ნატუსალიძე.

—

**ხონის რაიონიდან.** გადავწყვიტე ხონში დაბრუნება დავუახლოვდი თუ არა სახელოსნო შკოლას ისეთი ყვირილი შემომესმა, რომ მე მთლად გული კინაღამ გამისკდა. „კი გვინდა, კარგია''-ო ყვიროდენ. ვიფიქრე, რა უნდა უნდოდეს ამ ხალხსთქო და გავსწიე ჩქარი ნაბიჯით. ივანეს ეზოში აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. პირველი შეხედვით გული გამინათლდა, მიტინგი მეგონა, მაგრამ მოვსტყუვდი. მიტინგი კი არა წყლის გაყვანის საქმეზე ყვიროდენ. კრებას თავმჯდომარეობდა ფოთელი ნიკო. მან ხალხის ხვეწნა-მუდარას, აერჩიათ მირაბი ფარული კენჭის ყრით, ყურადღება არ მიაქცია და ახალი ტაქტიკით ხელფეხის დათვლით აარჩევინა ხალხს თავისი წამოყენებული კანდიდატი. ნიკოს ასეთი საქციელი ძრიელ საწყენათ დამრჩა. უცბათ ამოდენა ხალხმა ისეთი მცხეთური გამართა, რომ ასეთს ვერც ნოქრები და თუ გინდ ინტელიგენციაც ვერ გამართავდა. მცხეთურის დროს მეც კინაღამ მიმაყოლეს. აქედან მათხოჯისკენ გავექანე, მაგრამ გზაში წყალში კინაღამ დავიხრჩვი. დიდის ვაი-ვაგლახით მიუახლოვდი ნახახულევის კანცელარიას ამ დროს ორი ვიღაც ცხენიანი კაცი წამომეწია. ცოტა დამშორდენ თუ არა, ერთმა მორთო სიმღერა:

საქმე კარგათ გვაქს ბიკტორჯან<br>
მიდივართ მიგვიხარიან,<br>
სოფლის ნაღდეტი ფულები<br>
ჯიბეში მიგვიქყავიან.

ამის გამგონე გულზე გავსკდი. როგორც შემდეგ გავიგე, ესენი მწერალი პლატონი და ბიკტორ მამასახლისი იყვენ. პლატონი და მამასახლისი თავის კაბინეტში შებრძანდენ. მეც სულმა არ მომითმინა და შევყევი მათ. ვიღაც ახალგაზრდა შემოვიდა და მანამ არ მისცეს პასპორტი, სანამ მანეთ ნახევარი არ გადაახდევინეს. აქედან ბანკში შევიხედე, მაგრამ ცარიელი ყუთების მეტი ვერაფერი ვნახე. მინდოდა, ბანკის გამგეები ფილიპე და ნიკიფორე მენახა, მაგრამ რაღაც ბედზე გადამირჩენ. გამოვედი გარეთ და დავინახე სესიას დუქანზე ჩვენი პლატონი და რამოდენიმე მღვდლები ქეიფს შეექცეოდენ. მივედი მათხოჯში, ვიფიქრე მივალ საამხანაგო მაღაზიაში და ერთ ღამეს გავათევ მეთქი. მივედი, მარა უბედურ კაცს ქვა ალმართზე მიეწიაო სწორეთ ისე დამემართა. როგორც კი მივედი, დავინახე ვიღაც ოცამდე კაცი დაეჭირათ. ვიკითხე მიზეზი და მითხრეს რომ საამხანაგო მაღაზია გასტეხეს და იმისთვის დაიჭირესო. გულზე შამომეყარა მარა რას ვიზამდი. ვთქვი, რა უბედური კაცი ვყოფილვარ, ნუთუ ვერსად ვერ ვპოვებ მოსვენებასთქო? მსწრაფლათ განვშორდი საამხანაგო მაღაზიას და დაუწყე ისევ სამკითხველოს ძებნა შენც არ მომიკვდე მე ის ვერ ვნახე. დავიღალე დავიქანცე სამკითხველოს ძებნით და ბოლოს გადავსწყვიტე ისევ ხონში წავსულიყავ. აგერ წამოსვლა რომ დავაპირე ვიღაც შუა ხნის კაცს შევხედე რომელსაც ხელში გაზეთები ეჭირა და ქუდზე შემდეგი წარწერა ქონდა: ,,მანთხოჯის უფასო სამკითხველო'' მე

განცვიფრებაში მოვედი. ვიფიქრე ეგრე როგორ შეიძლება სამკითხველოს ტარებათქო. ვიკითხე მიზეზი ასეთ საქციელის და მითხრეს, რომ სამკითხველოს ვინც დახმარება დაპირდა მხოლოთ ენით დაეხმარესო. გამოვსწიე ისევ ხონისკენ. გზათ ახალგაზდა მოჩხუბართ წავაწყდი ვიკითხე მიზეზი და მითხრეს რომ ეს კარტის თამაშის შედეგიაო. როგორც იქნა ჩამოვედი ხონში. ქალაქის ბაღში შევუხვიე, მინდოდა ცოტა მომესვენებია. რადგანაც დაღლილი ვიყავი მინდორში წავწევი და უცბათ ჩამეძინა. გაიარა ცოტა ხანი და მომესმა საშინელი ყვირილი: ,,ქესტ, ქესტო'' მე შეშინებული ზევით წამოვარდი და დავინახე აუარებელი ხალხი მისდევდა ერთ ძაღლს, რომელსაც კუდზე ძველი ქესტი ება, მათ შორის მოწაფეებიც ბევრი იყო. მე ისევ ერთ ჩემ ნაცნობთან შევუხვიე. ჩემი ნაცნობი სახლში დამხვდა. ცოტა მოვისვენე და ჩემ ნაცნობს უთხარი, სამტრედიისკენ წასვლა მინდათქო. მან მთხოვა დავრჩენილიყავ, ამაღამ თეატრში წარმოდგენაა და ერთხელ მაინც ნახე ხონელ არტისტების თამაშიო. მეც დავთანხმდი. ვიფიქრე, რაც უნდა იყოს, ხონი ინტელიგენტების ქვეყანაა და წარმოდგენა მაინც კარგი იქნებათქო. რვა საათზე მივედით თეატრის კარებთან. წავიკითხე აფიშა და გავიგე, რომ ,,უბედურ ნაბიჯს'' თამაშობდენ. შამოვიკარი თავზე ხელი. ვიფიქრე, რა უბედური დღის კაცი ვყოფილვარ, ყველგან უბედურება მხვდება და ბედნიერება ერთხელაც არ შემხვედრიათქო. ამ დროს ვიღაცების ღრიალი მომესმა. ვიკითხე ვინაობა და მითხრეს, რომ ეს სემინარიის მოწაფეებია, დღეს დღესასწაული ქონდათ და დამთვრალანო. დაიწყო წარმოდგენა. წარმოდგენა კარგათ მიდიოდა. მომეწონა თამ რა გოგოლაშვილის თამაში. ვთქვი, ეს ისევ ქალაქელია, თორემ ხონელებიდან როდის მინახავს სიამოვნება, ეხლა რომ ვნახავდითქო. გაათავეს თუ არა წარმოდგენა, დაიწყეს ვოდევილი მარა სულ რომ არ ეთამაშათ კი სჯობდა. იმ ღამეს როგორც იქნა გავატარე ხონში. მეორე დღეს დილით გადავწყვიტე სამტრედიისკენ წასვლა. ჩავჯექი დილიჟანში და გავსწიე. შუა დღე იქნებოდა. რომ სოფელ ქვიტირში მივედით. მისვლისთანავე დაუწყე ძებნა მამაცოვის მოურავს ლომიძეს და ვნახე კიდეც. ვკითხე მიზეზი, რისთვის არ ატარებ ფეხათ ამ ადგილებში გლეხებსთქვა, რისთვის უხოცავ საქონელს საცოდავ გლეხებსთქვა? მაგრამ პასუხი ვერ მომცა. მივედი ორ-კლასიან სამრევლო შკოლაში და ვიკითხე მიზეზი, რისთვის ყოველ კვირაში ცვლით მასწავლებლებსთქო, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ამასობაში შკოლის ეზოს კიდევ ორი ახალი მასწავლებელი მოადგა ხაბაკებით. მე გაკვირვებული გავსწიე ლანჩხუთისაკენ. გადავსწყვიტე, ლანჩხუთში პირველათ სამკითხველო მენახა. მივადექ სამკითხველოს კარებს, მაგრამ დაკეტილი დამხვდა.

პროლეტ რი ე მაკი

**ყვირილა.** კონკურენციის მოსასპობათ აქაური პარკის მყიდველები შეერთდენ, მაგრამ ბოლოს ვ(ნ)გარიშის დროს აღმოჩნდა, რომ ვიღაცას ქანქარის ერთი ნაწილი სადღაც გადაუძვრენია. ვაჭრები ცხვირ ჩამოშვებულები დადიან. ,,პარტიკა'' გამოძიება სწარმოებს.

ფაუსტი.

—

**ს. ხვარბეთი.** ავათმყოფობა ძალიან გახშირდა. ვისაც ,,ორი-სამი მანათი არა აქვს და ,,თოხარიკი'' ცხენი არ ყავს, ყველა იხოცება. თუ ზემოხსენებული მასალა არ დაურჩა ადგილობრივი ფერშალი ისე ვერაფერს შველის ავათმყოფს.

სათარხანი

—

**ს. აცანა.** აქეთ ძალიან გახშირდა მწერალ-მასწავლებელ-პროვიზორთა შორის ჩხუბი-კრივი. დღე არ გავა ისე ვინმეს ცხვირი არ შეუღებონ წითლათ.

აცანელი.

## მათრახის ფოსტა.

**სამტრედია.**—სამსონ ობელს.

ავიღებ ჩემს გუდა ნაბადს
და ხელს მოვკიდებ სტვირსაო,
მივალ და მივულილინებ
ჩვენს ნესტორს „საქანქრესო."

გუდა ნაბადს თუ აიკიდებთ, ძალიან კარგს იზამთ და სტვირს კი თავი დაანებეთ.

**კულაში**—კულაშელს. არ დაიბეჭდება. ჩვენი ჟურნალი მეტრიკის წიგნი ხომ არ გგონიათ, რომ ქორწინების და ნათვლის ამბები ვწეროთ?

**ყვირილა** ფაუსტს. გონორარის ჭრალი არ არის თქვენი წერილების შემოკლება რომც ითხოვოთ... თუ გიდათ სულაც არ ვახლებთ ხელს.

**აგენტების და ხელის მომწერთა საყურადღებოთ.**

„მათრახ-სალამურის“ რედაქციამ შესწყვიტა კავშირი ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „სორაპანთან“, რომლის წარმომადგენელია ბ-ნი მ. გაჩეჩილაძე და აგენტურა უკვე გადასცა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სააგენტოს იაკოვლევისას, რომლის რწმუნებულია **ვ. ა. რუკოვიჩი.**

ვისაც სურს ჩვენი ჟურნალის აგენტობა პროვინციებში, უნდა მიმართოს მას შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Боржомская 5, кв 1. В. А. Руковичу.

ჟურნალ ,,მათრახ-სალამურის'' რედაქცია.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ზ. ტურაბელიძე.